ნეგაციის ლოგიკა ჰეგელთან: განსაზღვრება და განსხვავება *ლოგიკის მეცნიერებაში*

ლუკა ლაბუჩიძე

სამაგისტრო ნაშრომი

ფილოსოფია, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი: ელენე ლადარია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლუკა ლაბუჩიძე

19.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი, სათაურით „ნეგაციის ლოგიკა ჰეგელთან: განსაზღვრება და განსხვავება *ლოგიკის მეცნიერებაში*“, იკვლევს ნეგაციის ცნებას ისე, როგორც ის გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის *ლოგიკის მეცნიერებაშია* გაანალიზებული. კვლევის საჭიროებას იწვევს ქართულ აკადემიურ სივრცეში ჰეგელის ფუნდამენტურ კონცეფციებზე კვლევათა ნაკლებობა და ის მოტივირებულია ქართული ტერმინების (*განსხვავება, განსაზღვრება*) სემანტიკური სპეციფიკითა და მათ ჰეგელისეულ მნიშვნელობასთან მსგავსებით. ნაშრომის მთავარი საკვლევი საკითხია განსხვავებისა და განსაზღვრების პრობლემები ნეგაციის ცნების გავლით, რადგან ისინი ერთმანეთთან კომპლექსურად არიან დაკავშირებული. კვლევა ამტკიცებს, რომ ჰეგელის სპეკულაციურ ფილოსოფიაში ნეგაცია არ არის აზროვნების სუბიექტური ინსტრუმენტი, არამედ ის თვით-მიმართებული, ონტოლოგიური პროცესია, რომელიც არსის (Sein) თვით-განსხვავებასა და ონტოლოგიურ განსაზღვრებებთან მჭიდროდაა კავშირში. კონცეპტუალური ანალიზის, დიალექტიკური მიდგომის, ჰეგელისეული და ქართული ტერმინების სემანტიკური ანალიზისა და მეორადი წყაროების კრიტიკული განხილვის გამოყენებით, ნაშრომი მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ნეგაციის ფუნქცია და მისი მიმართება განსხვავებისა და განსაზღვრების ცნებებთან ჰეგელის *ლოგიკის მეცნიერებაში.*

საძიებო სიტყვები: ნეგაცია, განსხვავება, განსაზღვრება, ონტოლოგია, არსი, არსება, რეფლექსია

Abstract

This master's thesis, titled „The Logic of Negation in Hegel: Determination and Difference in *The Science of Logic*“ analyzes the concept of negation as it is examined in Georg Wilhelm Friedrich Hegel's *Science of Logic*. The necessity of this research stems from the scarcity of studies on Hegel's fundamental concepts within the Georgian academic sphere, and it is motivated by the semantic specificity of Georgian terms (e.g., "ganskhvaveba," "gansazghvreba") and their similarity to their Hegelian meanings. The main research question addresses the problems of difference and determination through the concept of negation, exploring the complex ways in which they are interconnected. The study argues that in Hegel's speculative philosophy, negation is not a subjective instrument of thought but rather a self-referential, ontological process intimately connected with the self-differentiation of being (Sein) and the establishment of ontological determinations. Employing conceptual analysis, a dialectical approach, semantic analysis of Hegelian and Georgian terms, and critical review of secondary sources, the thesis aims to elucidate the function of negation and its relation to the concepts of difference and determination in Hegel's *Science of Logic*.

Keywords: Negation, Difference, Determination, Ontology, Being, Essence, Reflexion